

დემოკრატიული საქართველო

La Géorgie Indépendante
შარტენელი
Édition mensuelle
1926. — JUIN N° 6
Prix : 2 fr.

1926 წ. ივნისი.
№ 6.
ფასი 2 ფრ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ხ ა ე რ თ ე ო ო რ გ ა ნ ო .

კ ა რ ლ ო ხ ნ ე ი ძ ე .

ვახეთი უკვე აწყო ბილი იყო, როდესაც სამუდამო დახუჯა თვალები საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარემ კარლო ხეიძემ. ეს უბედურება გვეწვია მოულოდნელად. როცა ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ძლიერ კარგად გადატანილმა ოპერაციამ დაუბრუნა ის სიცოცხლე, რომელსაც ასე შეუბრალებლათ ჰკრა მან ხელი, საბედისწერო ნერვიულ კრიზისის დროს.

კარლო ხეიძე იყო განათვისუფლებულ საქართველოს სავანებო დესპანი ევროპაში, მას ხვდა წილად, როგორც დელეგაციის თავმჯდომარე, ოფიციალურად დაყენებია საქართველოს ცნობის საკითხი საზავო კონფერენციაზე პარიზში, მანვე დააყენა საკითხი საქართველოს ერთა ლიგაში შესვლის შესახებ ენევაში.

ბელადი რუსეთს რევილიუციისა, რომელიც იყო სათავე ამირანის ჯაჭვების დასხვრევისა, კარლო ხეიძე ხდებდა თავმჯდომარე ჯერ საქართველოს ეროვნულ საბჭოსი. შემდეგ დამფუძნებელ კრებისა. ქართველ ერის ამ უხედავს ორგანოსი, გამომხატველის მისი გულისწადებისა, ნებისყოფისა.

და ჩვენ ვხედავთ მას ამ მიმე და საპასუხისმგებლო როლებში მუდამ მშვიდს, მუდამ გამპრიახს, ფრთხილს, დარბაისელს, სიტყვა-მოსწრებულს, თავაზიანს.

ერთი მთავარი დამაარსებელთაგანი თავის პარტიისა, კარლო ხეიძე იყო საქართველოს დიდი სახელმწიფო მოღვაწე. ამის მქრებუტყველი მჩვენებელი იყო მისი არჩვეულებრივი—ვიტყოლით—თანდაყოლილი პასუხისმგებლობის გრძობა. ჩვენ მასში ვხედავთ ამ მხრივ ნამდვილ მეტყველდრეს შორეულ წარსულის სახელგაჩან ქართველთა, რომელთაც შესძლეს საუკუნეთა ქარ-ცეცხლში, ევროპა-აზიის ჯვარედინ გზაზე, უხედალთ გაეცარებიათ პატარა, მაგრამ მამაცი, ახოვანი და ნიჭიერი ქართველი ერი.

არჩვეულებრივი იყო კარლო ხეიძე კერძო ცხოვრებაშიც. მისი წყნარი, მომღიმაი, კეთილი სახე ყველას თვალში ვეიდას. კარლო ბუნებით იყო დემოკრატი, სადა. მას არ ჰქონდა ჩვეულებად მისი პიროვნების წინ წამოხრა, ხშირად ვეგონებოდათ, რომ ის განზრახ მიიწვედა უკან რევოლუციის, თავადაბალი და მორცხვი ის ვერ მალავდა თავის მოსიყვარულე გრძობებს ტოლ-ამხანაგებისადმი; შესანიშნავი მოსაუბრე, ის იყო დასრულებული ტიპი ქართველისა, როგორც მიხვრა-მოხვრით, ისე სიტყვა-პასუხით, სახის გამომეტყველებით, იუმორით, კილოთი.

და ეს თავადაბალი და მორცხვი კარლო იყო შეუპოვარი მებრძოლი! მებრძოლი ეროვნულ და საქალბრირი იდეალებისა. მის გულში ღვივოდა ისეთი ცეცხლი, რომლის ალი სწავდა მტერს, რომლის გუნჯუნი აღაფრთოვანებდა მოყვარეს.

მაგრამ ამ ცეცხლმა დასწვა თვით მისი მატარებელიც, კარლო ხეიძე! ის განაგრძობდა ბრძოლას უცხოეთშიც, ის იყო თავმჯდომარე საქართველოს პოლიტიკურ პარტიების დელეგაციისა, რომელიც თანამშრომლობს ეროვნულ მთავრობასთან სამშობლოს უფლების, მის ღირსების დასაცავათ უცხოეთში.

თავის ქვეყნის მოტრფილი კარლო ვერ შეეგუა ემიგრანტულ ცხოვრებას. მის სიდუხჭირეს. ის ამაშიც ქართველი დარჩა! ქართველს არ უყვარს ემიგრანტობა. ვერ შეიყვარებს, არც უნდა შეიყვაროს. ის განუწყვეთელი თავის ყოველ მხრივ შემკობილ მიწა-წყლისაგან, მისკენ მიისწრაფის სტიქიურათ.

და აქ მას დაბრკოლება ელოებოდა. კარლო ხეიძის ტრადიციული ბოლო შედეგია საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის, მან შეიწირა ის, როგორც ბევრი სხვა, ერთნი პირობები, მეორენი, ოპორტუნიზმისა.

ეს ჩვენ არ დაგვიწყნია, არ დაგვიწყებთ. შორს ჩვენგან ცრემლები, შორს ჰუმუნა, ჩვენ ვსჯერებთ ჩვენი კარლოს გამოკვეთილ სახეს, უძრავს და იმავე დროს მეტყველს, ცივს და იმავე დროს ღმობიერს, ბრძოლაში დანაოქებულს, გაჰალარებულს.

მთელი ქართველი ერი სჯერებს მას ჩვენთან ერთათ ათასეულ კილომეტრის სივრცეიდან. რას გვეუბნება ის, კარლოს სახე?

მე მივდივარ, თქვენ განაგრძეთ.

რედაქცია დემ. საქართველო-ს მემცვე ნამცხვს უძღვნს განხვრებულის ხხოვნას.

მ ა რ შ ა ლ ი პ ი ლ ს უ დ ს ე ი .

სახვადოდ მიღებულია, რომ სამხედრო გადატრიალებას მემარჯვენე წრეები და პარტიები ახდენენ. პოლონეთში კი წინააღმდეგი მოხდა და ამ მხრივ საინტერესოა ცოტა ახლო მივუდგეთ საკითხს.

მარშალი პილსუდსკი, ავტორი სამხედრო გადატრიალებისა, ცნობილია, როგორც ძველი სოციალისტი და პოლიტიკური დენილი ცარისტულ მთავრობისა. ის სამხედრო პირიც არ იყო და მხოლოდ დიდი ომის დროს შექმნა პოლონური ლეგიონები ავსტრიაში და იმ თვითვე ააფრიალა თავის თვალსაზრისში დროში რუსეთის წინააღმდეგ, როცა რუსეთი დამარცხდა, პილსუდსკის უკვე ვარშავაში გადააქვს თავისი მოქმედება, მაგრამ აქ ვერ შეეწყო გერმანელებს და მათ ის ციხეში ჰყავდათ ზავის ჩამოგდებად. ზავი, როგორც ვიცით, აღადგენს გაერთიანებულ პოლონეთს და პილსუდსკი თავის ქვეყნის ამ გადაწყვეტ მომენტში პირველ რიგში თამაშობს. ის ხდება სახელმწიფოს «შეი» პოლონეთის პირველი მარშლის სახელწოდებით. მაგრამ, როცა კონსტიტუცია მიიღეს, მან არ მოიხურა თავის კანდიდატურის წამოყენება და პრეზიდენტად სხვა აირჩიეს. მან შემდეგ პილსუდსკი კერძო ცხოვრებას ეძლევა გარეგნულად, ხოლო სინამდვილეში დაუღალავ და მეთოდურ მუშაობას ეწევა თავის ქვეყნისათვის.

დიდი ხნით ადრე, ვინემ გადატრიალება მოხდებოდა, ყველა გრძობდა პოლონეთში, რომ პირველი მარშლის ქამი ახლოვდებოდა, ყველას თვალში მისკენ ეჭირა, თვით მტრებსაც, და ინსტიტიურათ გამოვლოდენ მისგან ახლო გაბედულ ნაბიჯს, თუმცა ჯერ გაურკვეველს, მაგრამ არსებითათ გადაწყვეტს და მხსნელს.

და ეს კიდევ მოხდა, ჯარის რამდენიმე ნაწილის თანხლებით პილსუდსკი მოითხოვს ვიტოსის მთავრობის გადადგომას და, ვინადან უკანასკნელი უძალიანდება და პრეზიდენტი ვოციცხოვსკიც მას მიუდგა, ის არ იცნეს იარაღის ხმარების წინ და ორი დღის ბრძოლის შემდეგ, რომელმაც დასტოვა თვალსაჩინო რიცხვის დახოცილობა და დატოვოდა, იმარჯვებს. პილსუდსკი გამარჯვებულია ვარშავაში, მაგრამ ეს თითქმის არ ნიშნავდა, პირველის შესხედით, გამარჯვებას მთელ პოლონეთში. და მართლაც იძვრიათ ჯარები, განსაკუთრებით, პოზნანისა, ვარშავის წინააღმდეგ, მაგრამ ისინი კითხულობენ პრეზიდენტ ვოციცხოვსკის პროკლამაციას, რომ ის გადადგა და პილსუდსკის აცხადებს ერთად ერთ პიროვნებად, რომელსაც ძალუქს ქვეყნის ხსნა, და აქედან მათ მოძრაობას წინ ეკარგვის აზრი.

დიდი როლი ითამაშა ამ ამბებში პოლონეთის დემოკრატია. პირველ რიგზე, მუშათა კლასმა და სოციალისტურმა პარტიამ. მათ პილსუდსკის საქმე თავისად გამოაცხადეს და მიემხრნენ მას გადაპირით. როგორც შედეგი, გამოცხადდა საყოველთაო ვაფიცვა, განსაკუთრებით რკინის-გზელებისა, რომ ხელი შეეშალათ ჯარების მოძრაობისთვის დედაქალაქისკენ. მოხდა არჩვეულებრივი რამ: სამხედრო გადატრიალება დემოკრატიის თანაგრძნობით და შემდეგ პირობადირი ჩარევით მის განამარჯვებლათ.

გამარჯვების მეორე დღეს ყველას ეგონა, რომ პილსუდსკი დიქტატორად გამოაცხადებდა თავის თავს, მაგრამ ამის მაგიერ მან კონსტიტუციური გზა ირჩია: შესდგა ახალი დროებითი სამინისტრო, რომელშიც თვითვე სამხედრო მინისტრის პორთფელი აიღო, და რომლის დანიშნულებას შეადგენდა სენატისა და სეიმის (ნაციონალურ კრების) მოწვევა რესპუბლიკის პრეზიდენტის ასარჩევად. ეგევ მოხდა და არჩეულ იქნა მარშალი პილსუდსკი, მაგრამ აქაც განსხვავდა ის: უარი განაცხადა პრეზიდენტობაზე, და მის მაგიერ იძულებული შეიქმნა პროფესორი მოსიციკი აერჩიათ, მისივე მეგობარი.

პილსუდსკის ხმა მისცეს სოციალისტებმა, გლეხთა და ეროვნულ უმცირესობათა ფრაქციებმა. აქედან ცხადია, რას გამოელოან მისგან: შრომის დაცვას, აგრარულ რეფორმას და ეროვნულ უმცირესობათა უფლების უზრუნველყოფას. მაგრამ, ამის გარდა, სხვა უფრო საშური ამოცანები უდგას პოლონეთს წინ: ფინანსების გამოსწორება, მრეწველობის გამოცოცხლება, უმუშევრობის მსპობა...

ერთი სიტყვით, საქმე ბევრია, კითხვაა მხოლოდ, ვინ და როგორ უნდა გააკეთოს ის. პილსუდსკი ჯერ-ჯერობით მარტო ამ კითხვას აყენებს და თვითონვე მიუგებს: საჭიროა კონსტიტუციის გადასინჯვა იმ მიზნით, რომ გაძლიერებულ იქნეს აღმასრულებელი ხელისუფლება. დღევანდელ პირობებში, განმარტავს ის, პარლამენტი ყველაფერია, მთავრობა—არაფერი, ეს კი ხელს უწყობს პარტიულ ინტრიგებს, მოხელეთა გარყვანას და სხ. პილსუდსკიმ იმტომ განაცხადა პრეზიდენტობაზე უარი, რომ არ უნდოდა შეეფიცნა მის მიერ დაწინებულ კონსტიტუციაზე, რომელიც პარლამენტის დათხოვნის უფლებასაც არ ანიჭებს პრეზიდენტს.

მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს ცვლილება? პილსუდსკი მომხრეა კონსტიტუციური გზის, ე. ი. დღევანდელმა პარლამენტმა უნდა შესცვალოს, მისი აზრით, კონსტიტუცია ზევით დასახელებული მიმართულებით, აღუტეროს მთავრობა არაჩვეულებრივი უფლებებით ქვეყნის ფინანსების და ადმინისტრაციის გასანჯანსაღებლად და შემდეგ ამისა თავის თავი დათხოვნილად გამოაცხადოს. ჩვენ არ ვიცით, მიიღებს თუ

არა პილსუდსკი დღევანდელ მემარჯვენე პარლამენტისაგან ასეთ ზომებს. ამაში დაქვევებულია მემარცხენე პარტიებიც და ამიტომ მოითხოვენ ისინი პარლამენტის დაუყოვნებლივ დათხოვნას.

ჩვენ შეეჩრდებით ამ ადვილზე და დავასკვნით მხოლოდ, რომ პოლონეთი თავს დააღწევს კრიზისს და საქმეს სამოქალაქო ომამდის არ მიიყვანს. ამას ეწინააღმდეგება ხალხის სახელმწიფოებრივი შეგნება და საერთაშორისო ვითარება.

კრიზისის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ისაა, რომ პოლონეთს არ ჰქონდა ვარკვეული სავარეო პოლიტიკა. მისი გეოგრაფიული მდგომარეობა, მოსაზრებე ორი დიდი არამეგობრულად განწყობილ სახელმწიფოსი, ის იდგა დიდ სირთულის წინაშე. ვინადან პოლონეთი ამ ის გამო იძულებულია დიდი ჯარი იყოლიოს, მასზე გაწეული ხარჯები ნთქავს მისი ბიუჯეტის დიდ ნაწილს და მით ფინანსების გამოსწორება ძნელი ხდება. ისმის კითხვა მეზობლებთან დაახლოებისა, და პოლონეთიც იღებდა ამ მხრივ ზომებს, მხოლოდ ვეჯობთ, რომ მან დადებით შედეგებს მიალწია: ის არის საბაჟო ომში გერმანიასთან, ხოლო ბოლშევიკური რუსეთი ძლიერ იკავებს თავს აშკარა მტრობისაგან.

პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში დიდი ხანია ტრიალებს მეორე აზრი. სინამდვილესთან უფრო შეფარდებული: თუ ორივე მეზობელს ვერ დაუუახლოვდით, ერთს რომელიმეს მაინც გაეუწოდოთ ხელი, რომ ამით ორ ფრონტზე მტრობა თავიდან ავიცილიოთ. მაგრამ აქ იხადება სწორედ რყევა, უთანხმოება.

საინტერესოა, დღევანდელმა კრიზისმა თითქმის ამის პასუხიც მოგვცა არაპირდაპირ. ჩვენ ვთქვით ზევით, რომ პილსუდსკის წინააღმდეგ გაილაშქრეს პოზნანის ჯარებმთქორ, ესლა კი უნდა დაეძინოთ, რომ მას მიემხრნენ «რუსეთის და ავსტრიის» პოლონეთის ჯარები. გამოდის, ამ რიგათ, რომ პოლონელები, ვინც გერმანიის უფელს ვანიციდა, მომხრე არიან რუსეთთან დაახლოების; ხოლო ვინც რუსეთის და ავსტრია-უნგრეთის ფარგლებში ცხოვრობდენ, უფრო ნდობით გერმანიას უყურებენ. პილსუდსკი ხომ უკანასკნელთა ეყრდნობა, აქედან ერის ცხრა-მეათედს. მაშ მისი სავარეო პოლიტიკის გენიც თითქმის გამომკვეთლია.

ჩვენ არ შეგჩრდებით იმაზე, რომ ლოკარნო და გერმანიასთან ერთა ლიგაში შეხვედრა, მახლობელ დროში, იმავე გეზის მჩვენებელია.

26 მაისი .

26 მაისი.
რატომ არ შეგვიძლია ჩვენ, ძვირფასო ქართველო მეგობრებო, ეს სამარადისო თარიღი ვიდელსასწაულოთ ერთად საქართველოს ია-ვარდებში, იმერეთის კაკლის ხეებს ქვეშ, სვანეთის მთების კალთებზე, ან კახეთის ვენახებში? დალხენილი თქვენი ხალხი ითამაშებდა თქვენს ძველ, წარმტაც ლეკურს, ჩვენ კი ერთად ვადიდებდით სიმღერაში თამარ დედოფლის სახელოვან ხსოვნას...

ვაი რომ ჯერ არ დამდგარა ეს მშვენიერი დღე! მაგრამ—მე ღრმად ვარ დარწმუნებული—ის დადგება და უცხო უღლის ქვეშ განვლილი სიმწარე კიდევ უფრო გაამშვენიერებს, გაცხოველებს საქართველოს კვლავ მოაოებულ თავისუფლების ყვავილებს.

მხნეთ და იმედიაანთ! თავისუფლება მოვა და საქართველო კვლავ იგემებს სახელოვან ქამს დამოუკიდებლობისა და ეროვნულ თავისუფლების!

ქან შარტენი, Jean Martin.
თავმჯდომარე საერთაშორისო კომიტეტისა საქართველოსთვის.

საქართველოს თავისუფლება—მთელი ქვეყნის დემოკრატიის მოსწრაფება.

სტუდენტები რომ ვიყავით, ორმოცი წლის წინად, ჩვენ ჰიზნს ვუმღეროდით კავკასიას. ჩვენი დიდი პოეტი სვატობლეუ ჩნის აღგვაფრთოვანებდა ამისათვის.

მსოფლიო ომის შემდეგ ჩვენ ვისწავლეთ აღტაცებული პატივისცემა ქართველი ხალხის, მისი კულტურის, მისი დამოუკიდებელი სახელმწიფოს, მისი სოციალური სიმწიფის. ქართველი ხალხი ისე ახლოვდა ჩვენთვის, ისე ძვირფასი, ძმა!

ჩვენ ვიტანჯებოდით, როცა სისხლიანი მოსკოვის ბოლშევიკურმა იმპერიალიზმმა ვერაგულად თავის ნიშტებითა და ძალადობით მოსპო ყველაფერი, რაც მოიპოვა საქართველოს ეროვნულმა და სოციალურმა რევოლუციამ.

მაგრამ განადგურებული და დაავებული საქართველო მაინც არ იქმნა წაშლილი. საქართველო ცოცხალია. იგი ცოცხლობს სოციალისტური ინტერნაციონალის მილიონების გონებასა და გულში, ცოცხლობს მთელი დედამიწის დემოკრატიის სულში. რაც უფრო მწარე იყო მისი გოლგოთა, მით უფრო მშვენიერი იქნება მისი აღდგომა. საქართველოს სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევის უფლება შეტანილია ახალი ქვეყნის საერთაშორისო უფლების კოდექსში და ვერავითარი ძალმომრეობა ბოლშევიკებისა ამ უფლებას ვერ მოსპობს.

ჩემოსლოვაკიის რესპუბლიკის ყველა სოციალისტის სახელით გულითად სალამს ვუძღვნი ძმა ქართველ ხალხს. გვერწამს, რომ შორს არაა ის დრო, როცა მივესალმებით საქართველოს აგრეთვე ნაციონალური, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს და ერთგულ მებრძოლს სხვებთან ერთად მშვიდობიანობისათვის, დემოკრატიისათვის და სოციალური სამართლიანობის დამყარებისათვის მთელ დედამიწაზე.

ფრ. სიუკუა *) D-r Fr. Soukup.
პრაგა.

*) ჩემოსლოვაკიის სენატის თავმჯდომარის ამხანაგი და ჩვენს სოციალისტების ერთი ლიდერთაგანი.

ხა. მაშინ, სხვა ღნე აღარ იყო. შეეკრა რუსეთს 1783 წ. ხელ-წერილებით. რუსეთმა ვერაგულად დაარღვია დადებული პირობა და 1801 წ. გამააცხადა საქართველოს შემოერთება.
 მე-19 საუკუნე. საქართველოს შემოერთების მანი-ფესტმა იქონია თავისი გამომავალი ევროპაში. საფრანგეთმა და ინგლისმა პროტესტი გამოაცხადეს ამისთანა დაბრუნებ-ის აქტიურობის წინააღმდეგ. რუსეთის ძალადობამ აღაშფოთა სოლომონი. მეფე იმერეთისა. მან გენერალ სებასტიანის საშუა-ლებით, რომელიც მაშინ სტამბოლში იყო, როგორც საფრან-გეთის ელჩი, გაუგზავნა ნაპოლეონს მხურვალე მოწოდება, რათა ჩართულ იყო ამ საქმეში და შეეჩერებინა რუსეთის მსვლელობა კავკასიაში. ნაპოლეონი მაშინ ძალიან გართული იყო ევროპის საქმეებში და სოლომონის მოწოდებას არ მო-წყობია შედეგები.

საქართველო კი დანახა, რომ მას ერთგვებოდა რუსე-თის რგოლი მუსულმანთა რგოლის მაგიერ და შეებრძოლა გამწარებულად ამ ახალ უბედურებას. მოხდა მთელი რიგი აჯანყებთა რუსეთის წინააღმდეგ: 1802—მთიულეთში, 1804—ქართლში, 1810—კიდე მთიულეთში. 1812—კახეთში, 1810—იმერეთში, 1830—მთიულეთის თბილისში... მაგრამ ყველა ეს აჯანყებანი ჩაიღუპნენ სისხლის მორევში და ევროპას კი ყუ-რადღება არ მიუტყვევია. მან მიაცქია ყურადღება საქართვე-ლოს მხოლოდ 1955 წ., ეს იყო ყირიმის ომის დროს.

ამ ომის მიზანი იყო რუსეთის მსველელობის შეჩერება სამხრეთისაკენ. მოკავშირეა წინ ბუნებრივად დადაც საქარ-თველოს საკითხი. საფრანგეთმა, ინგლისმა და ოსმალეთმა გა-მოუგზავნეს ოფიციალური მისია სამეგრელოს დედოფალს ეკატერინეს და წინადადება მისცეს, რომ აღადგენენ საქარ-თველოს დამოუკიდებლობას, თუ ის გაწყვეტდა ყველ კავ-შირს რუსეთთან და გადაეიდოდა მოკავშირეთა მხარეზე. სა-ინტერესოა საფრანგეთის წარმომადგენლის, გრაფ მეფურაუს, წერილი; იგი სწერს: «დედოფალა, ჩვენ მოგვკატეს თქვენთვის დამოუკიდებლობა; ვერაპას უნდა, რომ თქვენ შეხვიდეთ გა-ნათლებულ ერთად აღადგინოთ. აქ ნათლად აღიარებულია, ერთი ის, რომ რომ წინადადება მოდიოდა ევროპისაკენ, ე. ი. საფრანგეთ-ინგლისისაკენ; მეორე ის, რომ უნდა აღდგინოდა დამოუკიდებლობა საქართველოს. ამ მოსაპარაკებელი ერთად შეწყდა ეს მოლაპარაკება.»

მაინც ვადადებული ნაბიჯის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ საქართველოს საკითხი დაისმობა პარიზის კონგრესის წინაშე (1856). პარიზში ჩვენ ვიცით. რომ ნაპოლეონ მასამეს, რომელიც იყო ამავე დროს თავმჯდომარე კონგრესისა, უნ-დოდა დაეხსენებინა საქართველო. მას თავის ფურცელზე აღნიშნული ჰქონდა დღევანდელი წესრიგი «აღდგენა საქართვე-ლოს დამოუკიდებლობის», მაგრამ თვით პარიზის ტრაქტა-ტში არაფერია საქართველოს შესახებ. ამკარაა, მოხდა კუ-ლისებში ბრძოლა. რუსეთს უნდოდა ცნობა საქართველოს შემოერთების, როგორც მომხდარ ფაქტისა, ნაპოლეონს პი-რიქით უნდოდა აღდგენა მისი დამოუკიდებლობისა, ამ ნი-რდაზე არ მოხდა შეთანხმება და ბოლოს გადასწყვიტეს სულ არ მოიხსენიონ საქართველო. ამ ნაირად «საქართველოს და-მოუკიდებლობის საკითხი», აღნიშნული თვით ნაპოლეონის ხელით მის ფურცელზე აღმოჩნდა ბოლოს წაშლილი—ალბათ მისივე ხელით.

აგრედვე გვერდი აუტა ევროპამ საქართველოს საკითხს ბერ-ლინის კონგრესზე (1878).

მე-20 საუკუნე. მაგრამ ქვეყნის ისტორია არის ქვეყ-ნის სასამართლო. ჩადენილ უსამართლობას და ძალმომრეო-ბას, ხშირად მოსდევს ისტორიის სამართალი და დამსახურე-ბული სასჯელი. დიდი ომის დროს დაიწერა უმშველელი რუსეთი და აღსდგა პატარა საქართველო. 26 მაისს 1918 წ. მან გამოაცხადა თავის დამოუკიდებლობა და მხიარულად წაეუ-ღვა ერთგულ ცხოვრების აღნიშვნას. მოკლე დროში მოაწყო ყველაფერი, რაც კი ახასიათებს თანამედროვე განა-თლებულ სახელმწიფოს: მართვლობა, ჯარი, ფინანსები, სა-მართალი, სახალხო განათლება და შეიმუშავა და დამტკიცა თავისი კონსტიტუცია. ევროპა გაკვირვებული იყო ამ შემო-ქმენი მუშაობით და ყველა სახელმწიფოებმა იცნეს საქარ-თველოს დამოუკიდებლობა. მე ბედნიერი ვარ, რომ შემთხვე-ვა მომეცა დაგასახელო არისტიდ ბრიანი, თავმჯდომარე უმა-ღლესი საბჭოსა. საქართველოს ცნობა დეიურე დიდ სა-ხელმწიფოთა მიერ შეადგინა მან და მის ხელმოწერილი მო-უვიდა ჩვენს მთავრობას.

ამ ნაირად საქართველომ აღადგინა ყველა თავის უფლე-ბანი. ეს აგრეთ უნდა მომხდარიყო: მოფლიო ომში საქარ-თველომ მართლ დადა მოწოდებულა. მან გამოიყვანა 200 ათა-სამდე მემომარი და ამ ახალ ხანას, ხანას ერთა განთავისუფლე-ბისას შესწირა რამდენიმე ათი ათასი თავის შვილი.

მაგრამ დამოუკიდებლობა, ახლად მზეზე გამოხსულ საქარ-თველოს მუხანათურად თავს დაესხა ეხლანდელი ველურობა—ბოლშევიკური რუსეთი. ამან თავისი ურდოებით წაღკა ჩრდილო კავკასია, აზერბეიჯანი და სომხეთი. იგი ემუქრება მთელ ევროპას და თანამედროვე ცივილიზაციას. მისი წყალო-მთელ კაცობრიობა გაყოფილია ორ დიდ ბანაკად: ერთ მხარეზეა—განათლებული ქვეყანა. მეორეზე—გაფლურებული რუსეთი. პირველის იდეალია—გამარჯვება უფლებებისა და თავისუფლე-ბისა, ჰეობის—გამაფრება დიქტატურის და მონობის, პირვე-ლი ცდლობს დაამყაროს მშვიდობიანობა და ძმური თანა-სწირობა ერთა შორის. მეორე კი—სამოქალაქო ომი და ტა-ციობა... საქართველო, თანახმად თავის ისტორიულ დანიშნუ-ლებას, როგორც ძველად, ეხლაც განხა მოწინავე მებრძოლი, ავანაპოსტი ცივილიზაციისა. ამ შეურთებულ ბრძოლაში ის არ არის მარტო—ის თქვენთან არის, ის არის ევროპასთან, ის არის მთელ განათლებულ კაცობრიობასთან.

გამარჯვება იმას დარჩება.

ს ა ბ უ ლ თ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო მ ი.

რა არის «კულაკი»? განსხვავებას თავის თავსა და კალენდარს შორის, ბოლშევიკები ვერა ხედავენ. კალენდარი წინ მიდის, ბოლშევიკები ფიქრობენ. ჩვენც წინ მივიდვართო. მიუხედავად მათი სირეგენისა, ცხოვრება მაინც არსებობს, ისი-ნი ამბობენ, ცხოვრებას ჩვენ ვქმნით. ამიერ კავკასიის «პარტ-ორგანიზაციათა» გაფართობულ თათბირის მისის სხლო-მანებ ორჯონიკიძემ განაცხადა: «ერთი წლის მუშაობის შემ-დეგ, ჩვენ წინ წავიწვიეთ.» საბუთი? საბუთებს ქვევით ვნახავთ. მანამდე კი ამ «წინ წაწვლ» ხალხს უკან ბევრი გამოურკვევე-ლი საკითხი რჩება. მაგალითად: რა არის «კულაკი»? ბოლშე-ვიკების სადღესობა წეროლებში, სიტყვებში და მოხსენებებში ამ სიტყვას მთავარი ადგილი უჭირავს. მაგრამ ესმის თუ არა ხალხს ეს უცხო ქარგონი, ბოლშევიკები ამახედ თავს არ იტ-კივებენ. ყვერაი ხარის პატრონ ქართველ გლეხს რუსულად ელაპარაკებინ: «წინ «კულაკი» ხარო! დიდებულ ოქტომბრის ენა და სტოლი საყვების დაცულია. მაშ, ასე! რა არის «კულა-კი»? თათბირის ერთი დელეგატი ამბობს. რომ «კულაკი» ყო-

ფილი სტრატეგია. მეორე ამახედ შორს მიდის, და «კულაკი» ყოფილი სტრატეგია და ყოფილი მამასახლისი ყოფილი. მესა-მე კვიკიანი ამასაც არ სჯერდებოდა და «კულაკი» ყოფილი სტრა-ტეგია, ყოფილი მამასახლისი და ყოფილი მღვდელია ერთად! დელეგატები კიდე ბევრ სისულელეს იტყოდნენ, რომ გან-მარტება თითონ ორჯონიკიძეს არ მიეცა:

«კულაკი არის მდიდარი გლეხი, რომელიც ეწვეა სხვისი შრომის ექსპლოატაციას, რომელსაც ჰყავს 2—3 და მეტი და-ქირავებული გლეხი, ბევრი მიწა (იჯარით იღებს მიწას სხვის-გან), ჰყავს ბევრი საქონელი და წარმოადგენს სოფლად-კაპი-ტალიზმის განვითარების საყრდენს.»

ასე მოკლედ მოსჭრა ორჯონიკიძემ სიტყვა. ასეთ გლეხს ყველგან და საქართველოშიაც გამრჯე გლეხი ერქვა. მაგრამ სან გაგონილა ბოლშევიკებში, რომ გლეხს მიწა ჰქონდეს, რა-ქონელი ჰყავდეს, მიწას ხნავდეს და პური მოჰყავდეს. სა-ქონელიც ბან ორჯონიკიძის დროს, ბოლშევიკებმა ბანკები მოსა-მათი ქონება ჯიბისკენ იკრეს. როცა დარწმუნდნენ, რომ უბანკებოთ თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების გაძლლა შეუძლებელია. ბანკები ისევ განსხეს და სესხის გაცემა დაიწ-ყეს. მაგრამ ბანკები, სესხის გაცემა, პროცენტის აღება და კერძო პირის ხელში ფულის დატრიალება, ორჯონიკიძეებს მაინც სოციალიზმი ვგონათ. ორჯონიკიძე ეხლა თვალეხს იფ-შენეტს, ცოდებს ჰყრის და თავის დირექტორებს უყვირის. უნდა გაყაროთ ბანკებიდან, ვილაც ქებადებს სესხს აძ-ლებოთ.

როგორ «გასულელდა» ბოლშევიკი? თუ ყვე-რაი ხარის პატრონი გლეხი უკვე «კაპიტალიზმის განვითარე-ბის საყრდენია» სოფლად, რაღა უნდა იყო ვაჭარი ქალაქად და ამის დასურათებას იგივე ორჯონიკიძე იძლევა. კომუნის-ტურ აღტყინების დროს, ბოლშევიკებმა ბანკები მოსა-მათი ქონება ჯიბისკენ იკრეს. როცა დარწმუნდნენ, რომ უბანკებოთ თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების გაძლლა შეუძლებელია. ბანკები ისევ განსხეს და სესხის გაცემა დაიწ-ყეს. მაგრამ ბანკები, სესხის გაცემა, პროცენტის აღება და კერძო პირის ხელში ფულის დატრიალება, ორჯონიკიძეებს მაინც სოციალიზმი ვგონათ. ორჯონიკიძე ეხლა თვალეხს იფ-შენეტს, ცოდებს ჰყრის და თავის დირექტორებს უყვირის. უნდა გაყაროთ ბანკებიდან, ვილაც ქებადებს სესხს აძ-ლებოთ.

«ვინ არის ქებად? კითხულობს მრისხანედ ორჯონიკიძე. ეს ქართული ცხოვრების ნამდვილი გმირია. როგორის აღტა-ციებით დაპარობს ზოგიერთი კომუნისტი მის შესახებ. რო-გორ დააყენა ბორჯომის წყლის გაერტყეობა, რა ადვილად მოუღობს ფულეხს, როგორ ეხმარება საეკონომიკო სამარ-თველოს და სხვა. საქმე კი სულ უბრალოა. ფულეხს აძლევენ ჩვენი ბანკები, წყალს ვაძლევთ ჩვენ, მოგებას კი ქებად იღებს კიდეში და სამართლიანად გვასულელებს.»

ვერ ვაგვიგია, რაზედ ჯერობებს ორჯონიკიძე?

ეტყობა ორჯონიკიძეს უნდა ქებად ფულიც თითონ მოს-ჭრას. ბორჯომის წყალიც თითონ გამოიგონოს და მოგება ბოლშევიკებს აძლიოს სურათი უნუგეგოა. უნუგეგოა თვით ბოლშევიკებისავე სიტყვით. გლეხს მიწა მისცეს—რაღა მოხა-ნიო, ვაჭარს ფული მისცეს—რაღა მოგეო, გვასულელებთო! მაგრამ ორჯონიკიძე ერთი სცდება. ამ გასულელებაში გლე-ხები და ვაჭრები არაფერ შუაში არიან. მათ ცხოვრება ასუ-ლებელია. უწინ ბოლშევიკი გაბოროტებული იყო, დღეს გა-სულელებულია. ამ ფრად სახიფათო მდგომარეობას, როცა გაბოროტებული გასულელებდა, ორჯონიკიძე «წინ წავიწვი-თო» უძახის. მაგრამ ეს მეტია ვიდრე წინ წაწევა—ეს უკანას-კნელი მიჯნაა!..

«გ ა ნ ა დ გ უ რ ე ბ უ ლ ი» პ ა რ ტ ი ე ბ ი.

როცა ბოლშევიკებს თავისი ბატონობის «განტყიცების» დასაბუთება სურთ, იწყებენ იქიდაობს, თუ როგორ განაგდურეს დანარჩენი პარ-ტიები. პარტიების განადგურება აქამდის უკიდრუ შემარო-ტებად მიიწინებოდა. ორჯონიკიძეს ეხლა წითელარმიული ოინე-ლი გაუხდია, პამლეტის საბური წამოუსხეს და იძახის: განა-დგურდნენ, არ განადგურდნენ?! ორჯონიკიძეს ეს განადგურ-რებაც არა სჯერა. რატომ? და ამის პასუხს თითონ იძლევა. როგორ განადგურებ პარტიებს «საბოლოოდ» (ორჯონიკიძის საყვარელი სიტყვაა), როცა პარტიები საზოგადოების და ერის გამოძახილია და ერს კი თითონ არ უნდა ბოლშევიკში. «მრავ-ალ რიცხვანაი ნაციონალისტური ქართული ინტელიგენცია საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე რჩება... ამბობს იგი თავის მოხსენებაში. მაგრამ თქვენა გგონიათ, მარტო სა-ქართველოში ასე? სომხეთში ნაციონალისტური ინტელიგენ-ცია «მგვრება საბჭოთა პარტიში, კომპარტიაში, სასწავლო დაწესებულებებში და სხვა და იქ აწარმოებენ საქმეს ჩვენი აპარატის დასარღვევად, გვიფუჭებენ საქმეს... განაგდობენ იგი. ხოლო რაც შეეხება აზერბეიჯანს—ავიღოთ ამხანაგ კუ-ლიევის მიერ ხელშეკრულების დადება ცნობილ საერთაშო-რისო აფერისტ, ყალბი ფულის მჭერელ მესარმომთან ან და ოსმალიევიდან მასწავლებლების მოწვევა.»

ბოლშევიკები რომ ყალბ ფულეხს სჭირან და მუდამ აფე-რისტებთანა აქენ საქმე, ეს კაი ხანია ვიცით. ამას წინად ვერო-ბის პრესაში გამოქვეყნდა საბუთი, ის ჩვენმა გაზეთმაც გად-მობეჭდა თავის დროზედ, ხელმოწერილი კომინტერნის ანე-რიკულ დელეგატებისგან, თუ რამდენი ყალბი ფული მოს-ჭრეს ბოლშევიკებმა. «ამხანაგ» კულიევის კავშირი აფერისტ მესარმომთან, ალბად ამავე მიზნით არის გამოწყვეული. მაგრამ თუ აზერბეიჯანი მასწავლებლის ოსმალიევიდან იწვევდა, ეს ახალი ამბავია და თანაც ღირს შესანიშნავი! ამ რიგად: გლეხი «კულაკია» და კაპიტალიზმის საყრდენი, ვაჭრები ბოლშევიკ-ებს ასულელებენ, ქართველი ინტელიგენცია მათი მოწინა-აღმდეგე რჩება, სომხები აპარატს ურღვევენ და საქმეს უფუ-რებენ, აზერბეიჯანი მთლიანად ქედლის კედგავიანა იზიარ-ებენ, მუშები დახვრიტეს, დაგზავნეს და ცხენზე ჰყავთ, ვილ დაარჩა ბოლშევიკების ერთგული? საერთაშორისო აფერისტი და ყალბი ფულის მჭერელი მესარმო! აი, ამაზედ არის ნათ-ქვამი: გიყავოს და გაიბრეშუმოლო!

ნ ა ც ი ა ნ ლ ი ზ მ ი... და გ ა ს უ რ ე ბ უ ლ ი შ ა ნ თ ი.

ბოლშევიკებმა «დიდება» მოიხვეტეს, მაგრამ კაცთა შორის სათ-ნოება ვერ დაამყარეს. ეროვნული უშლი და ტერიტორიის ტაციობა, პირიქით, უკიდურესად განვითარეს. მას შემდეგ რაც ბუღელ მდინანა «თვალ დახუჭულმა» მოაწერა ხელი სომ-ხეთთან შეთანხმებას, რომლის ძალით ქართული ტერიტორი-ის ნაწილი ბოლშევიკურ სომხეთზე გადავიდა, ქართულ ახალ-ქალაქის მზარდი წარმოდგინეს, რომ ძველი ჯავახეთი თვალ დახუჭული თუ არა, თვალ ღია მაინც სომხეთს ეკუ-თვნის და სომხეთს. ამ მართის ოცდა ჩვიდმეტმა სომხის სო-ფელმა, რასაკვირველია, სომხ კომუნისტების კარნახით, შეუამდგომლობა აღდრა «საქართველოს» მთავრობის წინაშე, რათა ახალ-ქალაქის მზარა სომხეთისთვის შეეერთებინათ. ასე უყვართ ქართველ ქვეშევრდომებს თავისი მთავრობა! ქარ-თველმა კომუნისტებმა თითონ შეუწყეს ხელი, რომ მოსკოვს საქართველო რუსულ პროვინციად ექცია, თითონ მისცეს პირველი მაგალითი. უდავო ქართული ტერიტორიის «თვალ დახუჭული» გაბეჭდების, თითონ დაშალეს საქართველო ისე, რომ ყველას შეუძლიან, თუ სხვაგან არ წავა, თავის ხელობაში

მაინც საკუთარი «საბჭოთა რესპუბლიკა» გამოაცხადოს და მხოლოდ ეხლა, საქართველოს ასე გავერბირობოთ. იქნა-რის ორჯონიკიძე: «ამ საქმეს ცუდი უნდა უდოსო!» ცუდი უნდა უდოს არა მარტო იმას, რომ სომხის კომუნისტები ჩაქა-ქალაქის მზარას სომხეთისკენ ეწვიან, უნდა უდოს უდოს ცუდი უნდა უდოს, რომ ქართველმა კომუნისტებმა საქართვე-ლო რუსეთისკენ მისწიეს. ორჯონიკიძე მათში პირველი იყო! მერე რითი სურს მას ამ საქმის გამობრუნება? ნაციონალიზმი გახურებულ შანთით უნდა ამოვსწავთო, ჰყვირის ორჯონიკი-ძე. აქამდე გახურებულ შანთით ცხენებს სდაღვინენ. თუ ორჯონიკიძის ხელში ეს ხაზა მაინც პოლიტიკური ბრძოლის იარაღია, ჩვენ ურჩევთ იგი მოსკოვისკენ მიმართოს. ნაციონა-ლიზმის ბუღელ, რომელიც დღეს საქართველოს ახრჩობს—კრემლია. რას წარმოადგენენ ოცდა ჩვიდმეტი სოფელი და ეი-ლაც ქურდბაცაცა ახალ-ქალაქელი სომხის კომუნისტები. მოსკოვმა სამი ათასი სამასი სამოცდა სამი ქართული სოფელი წაიღო და რუსეთს შეუერთა. და თქვენ იქ ბრძანდებით!

«მელით ონენი». «სახიზლარ» ლითონს უწინ ოქროს ექანდნენ. ამაზედ არ არის დი ექამდე საუბარი. ბოლშევიკებს არც სახლში ჰყავთ ვინმე მადლიერი, არც თითონ არიან კმა-ყოფილნი. მადლიერიც და კმაყოფილიც ვილაც გარეშა. მა-გალითად ავსტრიის «პროლეტარიატის» დელეგაცია საქარ-თველოში.

«ქართველი ხალხის ჩაგვრახედ ლაპარაკი არ შეიძლე-ბა—ამბობს დელეგაცია თავის მოხსენებაში. სწორედ უკანას-კნელი ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს დიდი კულ-ტურული და ეკონომიური წინსვლა ეტყობა»-ო.

ამას ამბობს დელეგაცია იმ საქართველოზე, სადაც გლეხს ახრჩობენ, ერთი ძროხა გყავდა და მეორე რად გაიჩინეო. ამას ეძახის მოხსენება ეკონომიურ «წინსვლას».

როცა ეს ამიერიდგან სახელ განთქმული «მუშათა დელე-გაციები» დაიძვრებიან ხლომე «საბჭოთა კავშირის» და კერ-ძოდ საქართველოს მოსახილველად, ევროპაში ყველამ წინას-წარ იცის, რამდენი მიიღო დელეგაციამ «ზნის ფული» და რა უჯდებათ ბოლშევიკებს დაქირავებული სტუმრები. ეხლა ევროპის მუშებისთვის სამუდამოდ გამოიტყუა, სადაც გლეხი მელი და უნაგრო ბ-ნი ჰერსელი, ტრედ-უნიონების «დელე-გაციის» მეთაური მესამე ინტერნაციონალის უბრალო აგენტი ყოფილა. პერსელის ჯგუფზედ არა ნაკლებ უნაგროა ავსტრიის «დელეგაცია». კარგად გამასინძლებული და შეზარბოშ-ბული მოხსენება სიტყუეს ახარ ერიდებდა.

«მთელი ძალა-უფლება სახელმწიფოში, თვით უმაღლესი ადგილებიც, უბრალო, მაგრამ რევოლუციის ქარიშხალში გამობრძმდილ მუშებს უჭირავთ... განსაკუთრებით მელითო-ზნებს მრავალი დიდი მოხელე მიუტყიათ სახელმწიფოსთვის»-ო. განაგდობს მოხსენება.

განსაკუთრებით ეს იქმის საქართველოზე, დაუმატებთ ჩვენ. აქ, რამდენიც კამისარია—იმდენი მელითონე!—მაგალი-თად: შ. ელიავა—მელითონე. საშა გეგეჭკორი—მელითონე. მ. ორახელაშვილი—მელითონე. ეტიპაც არ უნდა რომ მელი-თონენი არიან ფ. მახარაძე და განსაკუთრებით მ. ცხაკაია.

ესეც თქვენ ჩვენ კი გვეგონა, რომ ზოგი მათგანი «ოქრო-მეცხელი» იყო!..

უ ზ ს ო ღ თ ი ს მ ი მ ო ხ ი ლ ე ა.

ბ რ ძ ო ლ ა დ რ ო მ ი ს ა თ ვ ი ს.

კანცლერი ლიუტერი აიძულა რეისტაგმა გადამდგარი-ყო; ამის მიზეზი იყო დეკრეტი, რომელზედაც ლიუტერმა ხე-ლი მოაწერა პრეზიდენტ პინდენბურგს, დროსის შესახებ. დეკრეტი ძალით, გერმანიის ოფიცი. წარმომადგენელი უტხო-ვითი ევალელობით აემართათ ძველი სამიპერიო დროშა, ხო-ლო ამ უკანასკნელის ერთ კუთხეში უნდა მოეთავსებიათ აგ-რეთვე რესპუბლიკანური ფერები! გამოდიოდა, რომ გერმანი-ას შინ რესპუბლიკანური დროშა უნდა ეხმარა, ხლო გარეთ—მონარქიული. ეს ეწინააღმდეგებოდა ევროპის კონსტიტუ-ციას, შეიქნა დიდი მოთქმა-მოთქმა, და შედეგაც არ დაიგვი-ანა—ლიუტერი დაეცა.

სანიმუშოა ეს ეპიზოდი. მას შემდეგ, რაც გერმანიაში რესპუბლიკა დაიწესდა, ერთ წუთსაც არ შეწყვეტილა დაუძი-ნებელი მტრობა მის მიმართ მონარქისტების მხრით. არა მარტო კონსერვატორები და პოპულიტები (ძველი ნაცი-ონალიზმბარალები), რომელთა უკან სდგანან იუნტრობა, მი-მე ინდუსტრია და ბანკები, არამედ კათოლიკურ ცენტრის მიმდევართა მონრდოლი ნაწილიც; მსხვილი გლეხობა და ვა-ჭარ-მრეწველნი ჯერ კიდევ მონარქიულ ოცნებობენ. მეორე დიდი სახელმწიფო, პრუსიის შემდეგ, როგორიცაა ბავარია, მთლად მონარქისტთა ბატონობის ქვეშ არის, და თუ ჯერ კი-დევე ვერ ბედავს მეფის ტახტზე აყვანას, ეს მას ბერლინის ში-შით მოსდის.

რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ბრძოლა პოლიტიკურ წეს-წყობლებისათვის, ძნელი სათქმელია, მაგრამ ერთი გარემო-ება მას უთუოდ გადამწყვეტ მსვლელებს მისცემს. ეს არის რეფერენდუმი, რომელიც 20 ივნისს უნდა მოხდეს ყოფილ მე-ფე-მთავართა ქონებრივ ანაზღაურების კითხვაზე. მკითხველმა იცის, რომ ოცამდე ყოფილმა მეფე-მთავარებმა სამსაჯულო-ები მიმართეს და მოითხოვეს ქონების დაბრუნება და ანა-ზღაურება. ვინაიდან მსაჯულნი უმეტესად მონარქისტები არიან, ისინი აკმაყოფილებდნენ საჩივრს. როცა დაფასეს ეს პრეტენციები, გამოვიდა, რომ სახელმწიფო ჰკარავდა ას მი-ლიონებს ოქროს მარკით! მაშინ დაიწყო დიდი კამპანია. სო-ციალდემოკრატის მეთაურობით, მთელი ამ ქონების კონფი-სკაციისათვის სახელმწიფოს სასარგებლოდ და, როგორც კან-ღონიერი გზა ამისათვის, რეფერენდუმი იქნა წამოყენებული. მაგრამ არსებობს პირველი საფეხური: ინიციატივა, და ეს უნდა მიეღო თავის თავზე არა ნაკლებ ოთხ მილიონ მოქალა-ქეს. გაიმართა ხელის მოწვევა ამ მიზნით და ორ კვირაში თეს მერტ მილიონ ნახევარი ხმა დაგროვდა! ვინაიდან ბურჟუაზიული პარტიები, თვით დემოკრატებიც ნაწილო-ბრივ, მეფე-მთავართა მეტნაკლებ ანაზღაურების მომხრენი არიან, ამიტომ ჯერ კიდევ ლიუტერის კაბინეტი შეეცადა კომპრომისის გამონახვას, მაგრამ ამაო.

ამ რიგათ, რეფერენდუმი, რაც იგივე პლებისციტია, აუცილებელი ხდება და, ცხადია, იგი გადაწყვეტს არა მარ-ტო ქონების, არამედ თვით რესპუბლიკა-მონარქიის ბედსაც. ამ კითხვის ასე თუ ისე გადასაწყურება საქიროა ოცი მი-ლიონი ხმა, მამასადამე, რესპუბლიკის მომხრეთ დასპირ-ლებით იზოვონ კიდევ შეიდი ნახევარი მილიონი ხმა. ამით გერმანიის ხალხს ეძლევა მშვენიერი შემთხვევა გამოსტყვას თავისი ზარი, არის ის ახალი წესწყობილების მომხრე თუ ისევ ძველ რეჟიმს უბრუნდება? დროშის კითხვა სწორედ პლებისციტის შედეგთან არის მჭიდროდ დაკავშირებული: როგორც წესწყობილება, ისეთი დროშა, ვასაგვია.

პარტიები ერთგვარ მოკრძალებას განიცდიან ხალხის და-კითხვის წინ. ხუმრობდა როდია, დიდი საკითხი უნდა გადა-წყვეთ. ამიტომ ზოგი ამჯობინებდა ისევ კომპრომისს, ზოგი

